“საგანმანათლებლო ინიციატივების ცენტრი”

“საგანმანათლებლო ინიციატივების ცენტრი” არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომლის ძირითად საქმიანობას განათლების სფეროში არსებული პროგრესული ტენდენციების შესწავლა, მათი ქართულ სინამდვილესთან მისადაგება და საგანმანათლებლო პროცესში დანერგვა წარმოადგენს. ცენტრი “ნაბიჯ-ნაბიჯ” საერთაშორისო ასოციაციის ნამდვილი წევრია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვა 30 ქვეყანასთან ერთად.

“საგანმანათლებლო ინიციატივების ცენტრის” რვაწლიანმა საქმიანობამ სასწავლო პროცესში დამკვიდრებული ავტორიტარული სწავლება ბავშვზე ორიენტირებული მიდგომით ჩაანაცვლა. ცენტრის მიერ ჩატარებულ სემინარებზე საქართველოს მასშტაბით გადამზადებულია 1500-ზე მეტი მასწავლებელი. ცენტრის მიერ დანერგილი ბავშვზე ორიენტირებული პროგრამა “ნაბიჯ-ნაბიჯ” ფუნქციონირებს სასწავლო დაწესებულებების- საბავშვო ბაღებისა და დაწყებითი სკოლის 500-ზე მეტ ჯგუფში. პროგრამის მომსახურებით 1998 წლიდან დღემდე დაახლოებით 60 000 მეტმა ბავშვმა ისარგებლა.

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება როგორც დაწყებითი სკოლისა და საბავშვო ბაღის მასწავლებელთა, ასევე უმაღლესი სკოლის პროფესორ-მასწავლებელთა გადამზადება და მათი შესაბამისი მასალითა და რესურსებით უზრუნველყოფა.

ცენტრი აღჭურვილია მასალებით, რომლებიც წარმატებით გამოიყენება უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი ფაკულტეტების და მასწავლებელთა გადამზადების ინსტიტუტების პროფესორ-მასწავლებლების მიერ სასწავლო პროგრამების შემუშავებისას.

გარდა ამისა, ცენტრს გააჩნია აღმზრდელების, მასწავლებლების და ადრეული ასაკის ბავშვთა განათლების დარგის სხვა სპეციალიტებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელო კრებულები, რომლებშიც მოცემულია პრაქტიკული მითითებები,

თუ როგორ დავნერგოთ ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა ადრეული ასაკის ბავშვთათვის განკუთვნილი სასწავლო პროგრამების განხორციელების დროს. გამოცემები გადასინჯულ იქნა პროგრამაში მონაწილე ქვეყნების, აგრეთვე საქართველოს განათლების დარგის სპეციალისტების მიერ მათი ადგილობრივი სპეციფიკისადმი შეხამების თვალსაზრისით. ჩატარებულია პროგრამის ექსპერტიზა. პროგრამა "ნაბიჯ-ნაბიჯ" მოწონებულია განათლების სამინისტროს მიერ და დამტკიცებულია, როგორც ალტერნატიული პროგრამა.

პროგრამა "ნაბიჯ-ნაბიჯ"

პროგრამა გათვალისწინებულია ბავშვებისათვის დაბადებიდან ათი წლის ასაკამდე და გვთავაზობს მეთოდოლოგიას როგორც ბაგის, ასევე საბავშვო ბაღისა და დაწყებითი სკოლის ასაკის ბავშვებისა და მათი მასწავლებლებისათვის. პროგრამითGგანსაზღვრულია, აგრეთვე, აღნიშნული მეთოდოლოგიის კურსის დამუშავება და მისი შეტანა უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლებისა და უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტების სასწავლო პროგრამებში. ამასთან ერთად, პროგრამა "ნაბიჯ-ნაბიჯ" ითვალისწინებს ნორმალური განვითარების თვალსაზრისით სხვადასხვა მხრივ ჩამორჩენილ ბავშვთა (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები) ჩართვას როგორც საბავშვო ბაღების, ასევე დაწყებითი სკოლის ჩვეულებრივ ჯგუფებში. (ინკლუზიური ჯგუფები).

პროგრამის მიზანია, განავითაროს ბავშვებში მომავალი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები, მოამზადოს ისინი მუდმივად ცვალებად გარემოში წარმატებული ცხოვრებისა და მოღვაწეობისათვის და, რაც მთავარია, ჩაუსახოს და შეუნარჩუნოს მათ მუდმივი სწავლის სურვილი, განუვითაროს უნარი შეიცნოს საკუთარი თავი და გარემო, რათა:

- მზად იყოს ცვლილებებისათვის და თავად მიიღოს მონაწილეობა მათ განხორციელებაში;
- აზროვნებდეს კრიტიკულად და შესწევდეს არჩევანის გაკეთების უნარი;
- შეეძლოს გადაწყვეტილების მიღება, პრობლემის დაყენება და გადაწყვეტა;
- იყოს საზრიანი, ჰქონდეს შემოქმედებითი მიდგომა და წარმოსახვის უნარი;
- ზრუნავდეს საზოგადოებასა და გარემოზე.

პროგრამა “ნაბიჯ-ნაბიჯ” ეყრდნობა ქვეყანაში მიმდინარე ეროვნული პროგრამით გათვალისწინებულ სწავლების შინაარსს, მაგრამ გვთავაზობს ახლებურ მიდგომას

პროგრამა ხაზს უსვამს და პრაქტიკულად ახორციელებს ბავშვის განვითარების დონესთან სწავლების შესაბამისობის პრინციპს, ითვალისწინებს ბავშვების ინტერესებსა და ინიციატივას, ხელს უწყობს მათ მიერ საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამომჟღავნებას და ყურადღებას ამახვილებს:

- სწავლების ინდივიდუალიზაციაზე;
- შესაბამისი სასწავლო და ფიზიკური გარემოს შექმნით ბავშვებში დამოუკიდებელი არჩევანის გაკეთების უნარის განვითარებაზე;
- სასწავლო პროცესსა და სკოლისა თუ ბაღის ცხოვრებაში ოჯახის ჩართვაზე.

პროგრამა “ნაბიჯ-ნაბიჯ” საქართველოში 1998 წლიდან ფუნქციონირებს. პროგრამაში ჩართულია 86 საბავშვო ბაღი (274 ჯგუფი) და 68 სკოლა (234 ჯგუფი). გადამზადებულია საბავშვო ბაღის, სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის 1450 პედაგოგი. ამჟამად პროგრამაში ჩართულია 12700 ბავშვი. პროგრამა ხორციელდება საქართველოს შემდეგ ქალაქებსა და სოფლებში: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, გორი, ხაშური, თელავი, ფოთი, ოზურგეთი, ნატანები, ეწერი, ბათუმი, მახინჯაური, ამბროლაური, ცხინვალი, ბორჯომი, თიანეთი, სადმელი, ბუგეული, წესი, ჭრებალო, თიანეთი, ადიგენი, ჩაქვი, კასპი, ბოხვაური, ხარაბა, ქარელი, ონი, ხელვაჩაური, ლანჩხუთი, ჩოხატაური, ქურთა, დისევი, თამარაშენი, ავნევი, აჩაბეთი, ბერულა, ერედვი, კეხვი, ხეითი, ნული, კერვი, ძარწემი, ზემო არწევი, ახალშენი, ოქონა.

თბილისი 0108, საქართველო
ჭოველიძის ქ. #10
ტელ: (+995 32) 93 89 99; 25 04 64; 25 05 92
ფაქსი: (+995 32) 29 10 52
ელ.ფოსტა: eteri@osgf.ge